საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-654

10/05/2021

ქ. თბილისი

„თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მდინარე მტკვარზე 103,49 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კასკადი 4) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის N2-345 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მდინარე მტკვარზე 103,49 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კასკადი 4) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის N2-345 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №32 (26.03.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მდინარე მტკვარზე 103,49 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კასკადი 4) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის N2-345 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ვმ ელექტრიკს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვმ ელექტრიკის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თბილისის, რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი